N 25-10-2306
29.10.2025

2306-შ-25-10-3-202510291637

მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადებასთან დაკავშირებით გამართული საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვების ცხრილი			
N	ადმინისტრაციული ორგანო/კერძო პირი და, საჭიროების შემთხვევაში, კომენტარების შემცველი დოკუმენტის თარიღი და ნომერი	კომენტარები	კომისიის პასუხი კომენტარებზე
1.1	**შპს „სელფი მობაილი" – №შ-25-6/,4275, 10.10.2025**	გამოცხადებული ექვსივე აუქციონის დაფარვის ვალდებულების ვადები, კერძოდ, დასახლებული პუნქტების (სადაც მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 20 000-ს) 90% ტერიტორიის დაფარვა 2026 წლის პირველ მარტამდე, მიგვაჩნია, რომ არარეალისტური და ფაქტობრივად შეუსრულებელი ვალდებულებაა ვინაიდან, აუქციონის ჩატარების თარიღად განსაზღვრულია 2025 წლის 4 დეკემბერი. ხოლო, 4 კალენდარულ თვეში აღნიშნული დაფარვის უზრუნველყოფა შეუძლებელია ოპერატორისთვის. ვინაიდან, ოპერატორმა ჯერ უნდა განახორციელოს შესაბამისი აპარატურის შეძენა და საქართველოში ჩამოტანა, რომლის მინიმალური ვადა, ყველაზე კარგ შემთხვევაში, შეიძლება იყოს 90 კალენდარული დღე. ხოლო, შემდგომ შესაბამის დასახლებულ პუნქტებში საჭირო სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება, რაც აგრეთვე დიდ დროს და რესურსს საჭიროებს. შპს „სელფი მობაილ"-ის შემთხვევაში სამუშაოები ჩასატარებელი იქნება 580 საბაზო სადგურზე. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა, რომ გახდეს რეალისტური, უნდა შეიცვალოს და განისაზღვროს 2027 წლის 1 მარტამდე.	კომპანიის მოთხოვნა დაფარვის ვალდებულების ვადებთან დაკავშირებით ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, კერძოდ პროექტში არსებული ჩანაწერი დაკორექტირდება და განისაზღვრება 2026 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით.

1.2		გამოცხადებული აუქციონების 4 ლოტს თან ახლავს შენიშვნა სიჩქარეებთან დაკავშირებით, კერძოდ: 1, 2, 3 და მე-4 ლოტებზე *შენიშვნა 3: იმ შემთხვევაში თუ №1 აუქციონში გამარჯვებული პირი აუქციონების დასრულებისას ამასთანავე იქნება №2,3,4 აუქციონებიდან ნებისმიერ ერთ-ერთ აუქციონში გამარჯვებული პირი (ანუ გახდება 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში 40 მჰც ფლობელი) და ლიცენზიები შეძენილი ექნება მაღალი მინიმალური სიჩქარის ვალდებულებით (ანუ 20%იანი ფასდაკლების გათვალისწინებით) მაშინ მინიმალური სიჩქარე განისაზღვრება 28.65 მბ/წმ-ით; იმ შემთხვევაში თუ №1 აუქციონში გამარჯვებული პირი აუქციონების დასრულებისას ამასთანავე იქნება №2,3,4 აუქციონებიდან ნებისმიერ ერთ-ერთ აუქციონში გამარჯვებული პირი (ანუ გახდება 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში 40 მჰც ფლობელი) და ერთი ლიცენზია შეძენილი ექნება მაღალი მინიმალური სიჩქარის ვალდებულებით (ანუ 20%იანი ფასდაკლების გათვალისწინებით) ხოლო მეორე ლიცენზია მაღალი მინმალური სიჩქარის და 20%-იანი ფასდაკლების გარეშე მაშინ მინიმალური სიჩქარე განისაზღვრება 27.3 მბ/წმ-ით; იმ შემთხვევაში თუ №1 აუქციონში გამარჯვებული პირი აუქციონების დასრულებისას ამასთანავე იქნება №2,3,4 აუქციონებიდან ნებისმიერ ერთ-ერთ აუქციონში გამარჯვებული პირი (ანუ გახდება 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში 40 მჰც ფლობელი) და ლიცენზიები შეძენილი ექნება მაღალი მინიმალური სიჩქარის ვალდებულების და 20%-იანი ფასდაკლების გარეშე მაშინ მინიმალური სიჩქარე განისაზღვრება 26 მბ/წმ-ით;* მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შენიშვნის ვალდებულება უნდა დაკორექტირდეს, რადგან შემძენმა შეძენილი 2 ლიცენზიიდან ერთი თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა ტექნოლოგიაში, ხოლო მეორე სხვა ტექნოლოგიაში მაგ. 1-ელ აუქციონში შეძენილი სიხშირე გამოიყენოს 3G ტექნოლოგიისთვის, ხოლო მე-2 აუქციონში შეძენილი სიხშირე LTE ტექნოლოგიისთვის. კერძოდ, სელფის მიერ 2100 მჰც 2 ლიცენზიის შეძენის შემთხვევაში სელფს ექნება 40 მჰც. თუმცა, 20 მჰც 2026 წლის მეორე კვარტლის ბოლომდე გამოყენებული იქნება 3G ტექნოლოგიაზე. შესაბამისად, უფრო სამართლიანად მიგვაჩნია მინიმალური სიჩქარის ვალდებულება განსაზღვრული იქნას 2 ლოტის შესაბამისად. აგრეთვე, დასაკორექტირებელია სიჩქარეები ტექნოლოგიების მიხედვით და, აგრეთვე, სიჩქარეების აღნიშნული მოთხოვნა უნდა ვრცელდებოდეს იმ შემთხვევაში თუ ორი აუქციონის მოგების შემთვევაში მოგებულს გადაეცემა მიყოლებული ზოლები და აღნიშნულ მიყოლებულ ზოლებს იყენებს ერთ ტექნოლოგიაში.	2100 მჰც სიხშირულ ლოტებთან დაკავშირებით კომპანიის კომენტარიდან გამომდინარე შპს „სელფი მობაილი“ ითხოვს დაკორექტირდეს „შენიშვნა 3“ ისე, რომ აღნიშნულ შენიშვნაში მითითებული მინიმალური სიჩქარეების ვალდებულება აუქციონში გამარჯვებულ პირს დაუწესდეს იმ შემთხვევაში თუ პირი შეიძენს 20 მჰც სიხშირულ რესურსს 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში, ამავდროულად თუ მიმდინარე აუქციონში შეძენილ 20 მჰც-ს და მის სარგებლობაში უკვე არსებულ 20 მჰც სიხშირულ რესურსს გამოიყენებს ერთიდაიგივე ტექნოლოგიით მომსახურების მისაწოდებლად და ასევე თუ 40 მჰც სიხშირული რესურსი იქნება თანმიმდევრული, სხვა შემთხვევაში ითხოვს დაკორექტირდეს სიჩქარეები ტექნოლოგიების მიხედვით. აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით განვმარტავთ რომ: 1. ვინაიდან კომისიამ ნაწილობრივ გაიზიარა კომპანიის მოთხოვნა დაფარვის ვალდებულების ვადებთან დაკავშირებით, კერძოდ დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადად განსაზღვრა 2026 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი ასევე ვინაიდან შპს „სელფი მობაილის“ მიერ წარმოდგენილ კომენტარებში მითითებულია, რომ 2026 წლის მეორე კვარტლის შემდგომ 2100 მჰც დიაპაზონში 20 მჰც სიხშირე გამოყენებული აღარ იქნება 3G ტექნოლოგიით მომსახურების მისაწოდებლად, შესაბამისად 2026 წლის ივლისიდან კომპანიას უკვე ექნება შესაძლებლობა მის სარგებლობაში არსებული 40 მჰც სიხშირული რესურსი მთლიანად გამოიყენოს LTE ტექნოლოგიისთვის. 2. რაც შეეხება სიხშირული ზოლის თანმიმდევრობას

			კომისია გამოთქვამს მზადყოფნას შპს "სელფი მობაილის" მიერ აუქციონებში გამარჯვების შემთხვევაში უზრუნველყოს მინიმუმ 10 მჰც სიხშირული რესურსის გაცემა სპექტრის უწყვეტობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით (ამ შემთხვევაში 2100 მჰც სიხშირულ დიაპზონში შპს „სელფი მობაილს" სარგებლობაში ექნება 30 მჰც თანმიმდევრული ზოლი). ასევე იმ შემთხვევაში თუ კომპანიებს შორის, რომლებიც ფლობენ ლიცენზიებს 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში, მოხდება შეთანხმება სიხშირული რესურსის თანმიმდევრულ გადანაწილებასთან დაკავშირებით, კომისია მზადაა განახორციელოს ლიცენზიების მოდიფიცირება მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში. კომისია ასევე მზადყოფნას გამოთქვამს დაეხმაროს კომპანიებს მოლაპარაკების/შეთანხმების მიღწევის პროცესში. 3. კომისია ვერ გაიზიარებს კომპანიის მოთხოვნას სიჩქარეების კორექტირებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიაჩნია რომ 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში ორი ლოტის შეძენის შემთხვევაში თუ პირი გახდება აღნიშნულ სიხშირულ დიაპაზონში 40 მჰც-ის ფლობელი, მიუხედევად იმისა სპექტრი იქნება თანმიმდევრული თუ არა, ქსელის შესაბამისად აგებისა და შესაბამისი ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში "შენიშვნა 3"-ში მითითებული სიჩქარეების მიღწევა სავსებით რეალურია.
1.3		მიგვაჩნია, რომ დაზუსტებას საჭიროებს, მინიმალურ სიჩქარეს ოპერატორი უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ აღნიშნულ აუქციონზე შეძენილი სპექტრით თუ აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება ოპერატორის მიერ მის სარგებლობაში არსებული სხვა სიხშირეების გამოყენებით/დახმარებით მოთხოვნილი მინიმალური სიჩქარის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც.	საჯარო კონსულტაციების ფარგლებში კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ პროექტში ნათლად არის განმარტებული რომ: ა) 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში ლიცენზიის მფლობელს უფლება

			აქვს დააკმაყოფილოს მომსახურების დაფარვის და ხარისხის ვალდებულებები როგორც წინამდებარე აუქციონით მოპოვებული სიხშირული ზოლებით ასევე მათი სიხშირული აგრეგირებით მის მფლობელობაში არსებულ 2100მჰც სიხშირულ რესურსთან მომსახურების ყოველი ინდივიდუალური მომხმარებლისთვის მიწოდებისას; ბ) 2600 მჰც სიხშირულ დიაპაზონში ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს დააკმაყოფილოს მომსახურების დაფარვის და ხარისხის ვალდებულებები მხოლოდ 2600 მჰც სიხშირულ დიაპაზონში წინამდებარე აუქციონებით მოპოვებული სიხშირული ზოლებით.
1.4	**შპს „მაგთიკომი" – №შ-25-6/,4280, 10.10.2025**	პროექტი ითვალისწინებს საწყისი საფასურის ფასდაკლებას დაფარვის დამატებითი ვალდებულების სანაცვლოდ. წინამდებარე წერილით შეგახსენებთ, რომ „მაგთიკომის“ კონკრეტული მოთხოვნის მიუხედავად (იხ. „მაგთიკომის“ 05.09.2024 #ED-24/09/05-001 წერილი) 2024 წლის აუქციონში ასეთი ფასდაკლება გათვალისწინებული არ ყოფილა. ჩვენს მაშინდელ მოთხოვნაზე პასუხად მივიღეთ, რომ საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა კომისიის დისკრეციას. კომისიისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ მის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ან არ გამოყენება, ყოველ ჯერზე მოითხოვს შესაბამის დასაბუთებას, რაც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს თანასწორი მოპყრობის, მიუკერძოებლობის და გამჭირვალობის პრინციპებს. ამ პრინციპების იგნორირებით, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება არის უთანასწორო პირობების შექმნის საფუძველი და ამავდროულად წარმოადგენს დისკრიმინაციას (დისკრეციის შერჩევითად გამოყენება ნიშნავს დისკრიმინაციას). წარმოგიდგენთ კომისიის ქმედებებს მხოლოდ ბოლო პერიოდის სიხშრული სპექტრის ლიცენზიის გასაცემად ჩატარებულ აუქციონებში: • შპს "მაგთიკომის" მოთხოვნით 2024 წელს გამოცხადებულ აუქციონში 700მგჰ და 3500მგჰ სიხშირის საწყისი საფასური 7.7-ჯერ და 7.1-ჯერ გაიზარდა 2023 წელს ჩატარებულ აუქციონთან შედარებით; 800მგჰ და 2600 მგჰ კი 3.6-ჯერ და 13.6-ჯერ შესაბამისად; • შპს "მაგთიკომის" მოთხოვნით 2024 წელს გამოცხადებულ აუქციონში არ იყო გათვალისწინებული ფასდაკლება დაფარვის დამატებითი ვალდებულების სანაცვლოდ (მიუხედავად ჩვენი მოთხოვნისა), განსხვავებით 2023 წელს ჩატარებულ აუქციონისა (2023 წლის აუქციონში	2023 წელს 5G ტექნოლოგიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კომისიამ ჩატარებული აუქციონის პირობებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ფასდაკლებებით (მვნო ვალდებულება და დამატებითი ტერიტორიის დაფარვა), ოპერატორებს საშუალება მისცა შედარებით ხელსაყრელი პირობებით მიეღოთ სიხშირული რესურსი, თუმცა, საფასური არ აღმოჩნდა ის მასტიმულირებელი მექანიზმი, რაც უბიძგებდა ოპერატორებს მიეღოთ 5G სიხშირული რესურსის ლიცენზია. 2023 წელს დამატებით კომისიამ გადადგა შემხვედრი ნაბიჯი და საჯარო წარმოების მიმდინარეობისას შეიტანა ცვლილება პროექტში, რომლის მიხედვითაც გარკვეული ლოტები სრულად გათავისუფლდა MVNO დაშვების ვალდებულებისგან. მიუხედავად აღნიშნული ქმედებისა, მხოლოდ ერთმა ოპერატორმა მიიღო მონაწილეობა აუქციონებში. დანარჩენმა ოპერატორებმა,

		კომისიისათვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ შპს "მაგთიკომი" არ მიიღებდა მასში მონაწილეობას); • 2025 წლის მიმდინარე წარმოების ფარგლებში, კომისიამ კვლავ დაადგინა ფასდაკლება დაფარვის დამატებითი ვალდებულების სანაცვლოდ (აქაც, კომისიისათვის წინასწარ არის ცნობილი, რომ შპს "მაგთიკომი" არ მიიღებს მონაწილეობას აუქციონში). წინამდებარე წერილით ჩვენ არ ვითხოვთ აუქციონის პირობებში საფასურის ფასდაკლების პირობის გაუქმებას. პირიქით, მივესალმებით ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გაზრდის ლიცენზიების საფასო მიმზიდველობას და შესაბამისად, მისცემს ოპერატორებს საშუალებას, მეტი ფულადი საშუალებები მიმართონ ქსელურ ინფრასტრუქტურაში. მაგთიკომი ეწინააღმდეგება კომისიის დისკრეციული უფლებამოსილების შერჩევით (დისკრიმინაციულ) გამოყენებას, რომლის შედეგად: • ირღვევა სამართლებრივი და ბიზნეს პროგნოზირებადობა; • იზღუდება ავტორიზებული პირების შეჯიბრებითობა; • ზიანი ადგება ქვეყნის საინვესტიციო გარემო; • ირღვევა სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპი. შესაბამისად, კომისიას ვთხოვთ, დეტალურად განგვიმარტოს, მის მიერ 2024 წლის აუქციონისგან განსხვავებით, ამჯერად რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს ის, როდესაც პროექტით დაფარვის დამატებითი ვალდებულების სანაცვლოდ კვლავ განსაზღვრულია საწყისი საფასურის ფასდაკლება.	მათ შორის კი მაგთიკომმა, მაინც უარი განაცხადეს აუქციონში მონაწილეობაზე. შესაბამისად 2024 წელს აუქციონების გამოცხადების საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას წინა წელს მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ფასდაკლების დაწესება მხოლოდ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების დაშვების სანაცვლოდ. თუმცა 2024 წელს ყველა ლიცენზია შეძენილ იქნა მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების დაშვების ვალდებულების და ფასდაკლების გარეშე. რაც შეეხება ამჟამად მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებას ამ შემთხვევაში აუქციონები ცხადდება სიხშირულ რესურსზე, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი მობილური ოპერატორების არსებული მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად კერძოდ აქცენტი კეთდება 20,000-ზე მეტი მოსახლეობის მქონე დასახლებული პუნქტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად გამოსაცხადებელი აუქციონები განსხვავდება წინა აუქციონებისგან, ამ აუქციონების და წინა აუქციონების გამოცხადების შემთხვევაშიც კომისია ხელმძღვანელობდა/ხელმძღვანელობს მინიმუმ შემდეგი კრიტერიუმებით: ა) გამოაცხადოს აუქციონები არა მარტო მოთხოვნილ რესურსზე არამედ აუქციონებზე გამოიტანოს უფრო მეტი თავისუფალი რესურსი რათა ნებისმიერ მსურველ პირს ჰქონოდეს შესაძლებლობა სიხშირული რესურსის მოპოვების; ბ) მსურველ პირს მისცეს საშუალება გარკვეული ფასდაკლებით შეიძინოს ლიცენზია და მეტი ფულადი

			რესურსის ინვესტიცია მოახდინოს ქსელის განვითარებაში. შესაბამისად მიგვაჩია რომ ამჟამინდელი და წინა წლის აუქციონების შედარება არარელევანტურია თუმცა ამ შემთხვევაშიც კომისია აძლევს საშუალებას ნებისმიერ მსურველ ოპერატორს, მათ შორის შპს „მაგთიკომსაც“, შეიძინოს სიხშირული რესურსი ხელსაყრელ ფასად რათა გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი 20,000-ზე მეტი მოსახლეობის მქონე დასახლებული პუნქტებში.

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია